Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#31, თებერვალი, 2026

ციფრული აქტივიზმი და გენდერული თანასწორობა:

ირანელი ქალების ბრძოლა სოციალური ცვლილებისთვის

მარიამ გრიგალაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mariam.grigalashvili271@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატია მიმოიხილავს ირანელი ქალების ციფრული აქტივიზმის როლს გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლის კონტექსტში, ავტორიტარული პოლიტიკური გარემოს პირობებში. კვლევა ფოკუსირებულია იმ სტრუქტურულ და საკომუნიკაციო მექანიზმებზე, რომელთა საშუალებითაც ციფრული პლატფორმები ქალებისთვის სოციალური წინააღმდეგობის, თვითგამოხატვისა და საზოგადოებრივი მობილიზაციის ალტერნატიულ სივრცედ იქცევა. ციფრული აქტივიზმის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკური მონაწილეობის შეზღუდვას, მედიის თავისუფლების დეფიციტსა და გენდერული უთანასწორობის სისტემურ ხასიათს.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას და მოიცავს სოციალური მედიის კონტენტ-ანალიზს, ასევე შერჩეული ციფრული კამპანიების შემთხვევის ანალიზს. ანალიზი აჩვენებს, რომ ციფრული აქტივიზმი არა მხოლოდ ხელს უწყობს შიდასაზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, არამედ ეფექტურად უზრუნველყოფს ირანელი ქალების უფლებების საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგში აქტიურად მოხვედრას, მედიისა და პოლიტიკური კონტროლის მკაცრი შეზღუდვების მიუხედავად, რაც ქმნის სოციალური ტრანსფორმაციისთვის საჭირო მნიშვნელოვან წინაპირობებსა და გლობალურ მხარდაჭერას.

მიღებული დასკვნები მიუთითებს, რომ ციფრული აქტივიზმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაში. შედეგები ასევე ავლენს იმ გამოწვევებს, რომლებიც ციფრულ სივრცეში ქალთა აქტივიზმს ახასიათებს და იძლევა შესაძლებლობას, შემუშავდეს ეფექტური სტრატეგიები სოციალური ცვლილებების მხარდაჭერისთვის ავტორიტარულ გარემოში.

საკვანძო სიტყვები: ციფრული აქტივიზმი, გენდერული თანასწორობა, ირანელი ქალები, სოციალური მედია, სოციალური წინააღმდეგობა.

შესავალი

გენდერული თანასწორობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს და სამართლიანი, დემოკრატიული და ინკლუზიური საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს ქმნის. იგი ეფუძნება იმ პრინციპს, რომ ყველა ინდივიდს, სქესის მიუხედავად, უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები, უფლებები და პასუხისმგებლობები როგორც საჯარო, ისე კერძო სივრცეში. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობის საკითხია, არამედ დემოკრატიული განვითარების, ადამიანის ღირსების დაცვისა და მდგრადი სოციალური პროგრესის აუცილებელი წინაპირობაა. თუმცა თანამედროვე სამყაროში ჯერ კიდევ ვდგავართ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ამ გამოწვევის წინაშე. მსოფლიოს სწორედ ამ ნაწილს განეკუთვნება ირანი, ქვეყანა, სადაც რეჟიმი სისტემურად ახდენს ქალთა დისკრიმინაციას და მათ მეორეხარისხოვან მოქალაქეებად აქცევს. ქალების მიმართ ძალადობა, სექსუალური ექსპლუატაცია, შევიწროვება, დაკავება თუ დაჯარიმება 1979 წლის რევოლუციიდან ირანის ყოველდღიურობის ნაწილი გახდა. ირანულმა რეჟიმმა ცხრა წელზე უფროს გოგონებსა და ქალებს ჰიჯაბის ტარება დაავალდებულა. მთავრობამ კი საპროტესტო აქციები ახალი მოთხოვნის წინააღმდეგ მალევე ჩაახშო. ირანის ისლამური სისხლის სამართლის კოდექსის 638-ე მუხლის თანახმად: „საზოგადოებრივ ადგილებში და გზებზე, ყველას, ვინც ღიად ჩაიდენს ჰარამს (ცოდვილ) ქმედებას, ქმედებისთვის გათვალისწინებული სასჯელის გარდა, მიესჯება ორთვიანი თავისუფლების აღკვეთა ან 74-მდე დარტყმა; ხოლო თუ ისინი ჩაიდენენ ქმედებას, რომელიც არ არის დასჯადი, მაგრამ არღვევს საზოგადოებრივ ზნეობრივ ნორმებს, მათ მხოლოდ ათი დღიდან ორ თვემდე თავისუფლების აღკვეთა ან 74-მდე დარტყმა მიესაჯებათ.

შენიშვნა - ქალებს, რომლებიც საზოგადოებრივ ადგილებში და გზებზე ისლამური ჰიჯაბის გარეშე გამოჩნდებიან, მიესაჯებათ ათი დღიდან ორ თვემდე თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა ორმოცდაათი ათასიდან ხუთას ათას რიალამდე“ (Islamic Republic of Iran, 1991-1995, მუხლი 638)

ამ პირობებში სოციალური და პოლიტიკური ჩართულობის ალტერნატიული ფორმები, მათ შორის ციფრული აქტივიზმი, სულ უფრო მნიშვნელოვან როლს იძენს ქალთა უფლებების დაცვასა და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობაში.

ისტორიულად, მოქალაქეთა აქტივიზმი ძირითადად მასობრივი ფორმებით ვლინდებოდა: პარტიული მონაწილეობით, ქუჩის პროტესტით ან ინსტიტუციური ლობირებით. თუმცა დღეს ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, აქტივიზმი სულ უფრო ხშირად ციფრულ სივრცეში გადადის (კასტელსი, 2000, გვ. 695).

ციფრული აქტივიზმი წარმოადგენს თანამედროვე სოციალური მოძრაობების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, გამოავლინონ წინააღმდეგობა და

წარმართონ საჯარო დისკურსი, მიუხედავად ფიზიკური შეზღუდვების ან პოლიტიკური რეპრესიების არსებობისა. ირანში, სადაც ქალების უფლებები სისტემურად ირღვევა და საჯარო სივრცეში პროტესტი ხშირად დასჯადია, სოციალური მედია ასრულებს ალტერნატიული პლატფორმის როლს, სადაც ქალებს შეუძლიათ გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება, გაახმაურონ პრობლემები და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიპყრონ (Danesh & Athari, 2024).

ლიტერატურის მიმოხილვა

ბოლო წლების განმავლობაში ირანელი ქალების აქტივიზმი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის, სადაც ციფრული სივრცე ცენტრალურ ინსტრუმენტად იქცა სოციალური ცვლილებებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის. 2014 წელს ჟურნალისტისა და აქტივისტის მასიჰ ალინეჯადის მიერ წამოწყებული My Stealthy Freedom კამპანია Facebook-ის პლატფორმაზე ქალებს აძლევდა შესაძლებლობას, გაეზიარებინათ ფოტოები და პირადი ისტორიები ჰიჯაბის გარეშე, როგორც პროტესტის ფორმა. კამპანიამ სწრაფად მოიპოვა ფართო პოპულარობა და გახდა საწყისი წერტილი სხვა ციფრული ინიციატივებისთვის, მათ შორის White Wednesdays კამპანიისთვის, რომელიც 2017–2018 წლებში Instagram-ზე ინტენსიურად გავრცელდა. ამ კამპანიების ფარგლებში ქალები საჯაროდ ამხელდნენ სისტემურ დისკრიმინაციას და ჰიჯაბის სავალდებულო ტარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

2017–2018 წლებში ირანელი აქტივისტები, მათ შორის ვიდა მოვაჰედი, პირდაპირი ქმედებებითა და ვიდეოებით გამოხატავდნენ პროტესტს, რასაც სოციალურ ქსელებში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. 2018 წელს მადეჰ ჰოჯაბრიის ვირუსული ვიდეო Instagram-ზე, სადაც გოგონა მუსიკის თანხლებით ცეკვავდა ჰიჯაბის გარეშე, კიდევ უფრო აძლიერებდა ონლაინ პროტესტის ტენდენციას.

2009 წლის ირანის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ ციფრული მედიის როლის შესახებ არსებული კვლევები აჩვენებს, რომ სოციალური მედია, საინფორმაციო ვებგვერდები და სხვა ონლაინპლატფორმები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა საპროტესტო მობილიზაციის, ინფორმაციის გავრცელებისა და პოლიტიკური დისკურსის ფორმირებაში. კვლევები მიუთითებს, რომ ახალი მედია ავტორიტარულ გარემოში პოლიტიკური წინააღმდეგობის ალტერნატიულ სივრცედ იქცა და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საპროტესტო პროცესების ორგანიზებასა და მათი ხილვადობის ზრდას. ამ ანალიზის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მედიის გავლენას საზოგადოებრივი პოლარიზაციის გაღრმავებასა და პოლიტიკური მობილიზაციის დინამიკაზე, რაც მედიის, როგორც პოლიტიკური აქტორის,

როლის გააზრებას უწყობს ხელს ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის პირობებში (Center for International Media Assistance [CIMA], 2010).

2022 წელს მაჰსა ამინის გარდაცვალებამ პატიმრობაში გამოიწვია ფართომასშტაბიანი საპროტესტო კამპანია სოციალური მედიის პლატფორმებზე: X-ზე, Instagram-სა და TikTok-ზე. #MahsaAmini და #WomenLifeFreedom ჰეშთეგების გამოყენებით, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ციფრული აქტივიზმის გავლენა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე. ქალები ონლაინ ავრცელებდნენ ვიდეოებს, რომლებშიც ასახავდნენ გენდერულ დისკრიმინაციას, შეზღუდვებს და საჯაროდ გამოხატავდნენ პროტესტს. ამ პროცესში სოციალურ ქსელებს ჰქონდათ ორმაგი ფუნქცია: ისინი ემსახურებოდა როგორც შიდასაზოგადოებისთვის თვითგამოხატვის სივრცეს, ასევე საერთაშორისო მედიისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების ყურადღების მიპყრობის მექანიზმს.

აღნიშნული მოვლენების ანალიტიკური გააზრება თანხვედრაშია ჰარსიჯისა და რაბეიე ნიას (2023) კვლევასთან, რომლებიც სტატიაში „საპროტესტო მოძრაობების ფორმირების ნიმუში სოციალური ქსელების როლზე აქცენტით“ იკვლევენ ვირტუალური სოციალური ქსელების გამოყენებასა და საპროტესტო მოძრაობების ფორმირება-განვითარებას შორის არსებულ ურთიერთკავშირს ირანის პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. ავტორები კომუნიკაციისა და პოლიტიკური მეცნიერების დარგის ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების საფუძველზე აანალიზებენ სოციალური ქსელების როლს საპროტესტო მოძრაობების მობილიზაციაში. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სოციალური მედიის გავლენა საპროტესტო მოძრაობებზე სამი ძირითადი თემატური მიმართულებით ვლინდება: „ნორმალიზაცია“, რომლის ფარგლებშიც პროტესტი ყოველდღიურ დისკურსში ლეგიტიმურ ფენომენად იქცევა; „მობილიზაცია და ორგანიზება“, რაც კოლექტიური ქმედების კოორდინაციასა და გაფართოებას გულისხმობს, და „საველე რეაქცია“, რომელიც ციფრული სივრციდან რეალურ საპროტესტო მოქმედებებზე გადანაცვლების პროცესს მოიცავს (Harsij & Rabeie Nia, 2023).

2024–2026 წლებში ირანელი ქალების ციფრული აქტივიზმი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა, რომელსაც ახასიათებს სოციალური მედიის გლობალურ ინსტრუმენტად გარდაქმნა. ამ პერიოდში ჰეშთეგებისა და სიმბოლური გამოსახულებების გავრცელება Instagram-ზე, X-სა და TikTok-ზე კიდევ უფრო ინტენსიური გახდა, რაც მიუთითებს ციფრული აქტივიზმის გრძელვადიან ეფექტს ქალთა უფლებების დაცვისა და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობის პროცესში. აღნიშნული ქრონოლოგიური მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ირანელი ქალების ციფრული აქტივიზმი არ წარმოადგენს ერთჯერად მოვლენას, არამედ წარმოაჩენს ადაპტაციურ სტრატეგიას, რომელიც მუდმივად პასუხობს ტექნოლოგიურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს,

ქმნის კოლექტიურ ნარატივებს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დისკურსზე.

წარმოდგენილი თეორიული მიდგომები ერთობლივად ქმნიან ანალიტიკურ ჩარჩოს, რომელიც საშუალებას იძლევა ირანელი ქალების ციფრული აქტივიზმი განხილულ იქნეს მრავალგანზომილებიანი პერსპექტივიდან. ავტორიტარულ კონტექსტში, სადაც სახელმწიფო სისტემატურად ზღუდავს საჯარო სივრცეს, მედიის თავისუფლებასა და პოლიტიკური მონაწილეობის ფორმებს, ციფრული პლატფორმები თანდათანობით გარდაიქმნება ორგანიზებული წინააღმდეგობის ალტერნატიულ არენად. სწორედ ამ სივრცეში კონცენტრირდება ციფრული სოციალური მოძრაობებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები: ინდივიდუალური გამოცდილების პოლიტიზაცია, კოლექტიური ნარატივების მიზანმიმართული კონსტრუირება, სიმბოლური ქმედებების სტრატეგიული გამოყენება და ქსელური მობილიზაციის მექანიზმები.

ამგვარად, ირანელი ქალების ციფრული კამპანიების ანალიზი საშუალებას იძლევა, პრაქტიკაში წარმოჩინდეს ციფრული აქტივიზმის თეორიული მოდელების გამოვლინება და შეფასდეს მათი ეფექტიანობა გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლის კონტექსტში. სწორედ ამ მიზეზით, კვლევის შემდგომი ნაწილი ფოკუსირდება კონკრეტულ ციფრულ კამპანიებზე, რომლებიც ცხადყოფენ ონლაინ აქტივიზმის შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს ირანის სოციალურ-პოლიტიკურ რეალობაში.

ავტორიტარული რეჟიმების ზოგიერთმა ვარიაციამ აშკარად განახორციელა პოლიტიკა, რომელიც არა მხოლოდ გენდერული თანასწორობის მიღწევის დაბრკოლებას წარმოადგენს, არამედ აქტიურად აძლიერებს უთანასწორობას.

გენდერული თანასწორობის არაწრფივი განვითარება განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ავტორიტარულ რეჟიმებში, სადაც ძალაუფლების კონცენტრაცია და პოლიტიკური პლურალიზმის შეზღუდვა პირდაპირ აისახება ქალთა უფლებებსა და საზოგადოებრივ მონაწილეობაზე. ამგვარ სისტემებში გენდერული უთანასწორობა არა მხოლოდ სოციალური პრაქტიკებით, არამედ ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმებითაც მყარდება, რაც ქალებს პოლიტიკურად დაუცველ და მარგინალიზებულ მდგომარეობაში აყენებს.

ავტორიტარულ რეჟიმებში ქალთა უფლებები ხშირად ექვემდებარება იდეოლოგიურ კონტროლს, რომლის ფარგლებშიც გენდერული ნორმები სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ „სწორ“ ქცევასთან და მორალურ წესრიგთან არის გაიგივებული. პოლიტიკური სივრცის დახურვა, დამოუკიდებელი მედიის შეზღუდვა და სამოქალაქო საზოგადოების სუსტი ინსტიტუციონალიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს ქალების შესაძლებლობას, საჯაროდ გააპროტესტონ დისკრიმინაციული პოლიტიკა ან ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების

პროცესებში. ამ პირობებში გენდერული თანასწორობა ხშირად დეკლარაციულ დონეზე რჩება, რეალურ პოლიტიკაში, კი იგი ექვემდებარება რეჟიმის სტაბილურობის ინტერესებს.

ირანში Instagram, X, WhatsApp და TikTok მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალთა ციფრული აქტივიზმის პროცესში, თუმცა ეს პლატფორმები ოფიციალურად დაბლოკილია სახელმწიფოს მიერ. მათზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ VPN-ისა და სხვა ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით, რაც მომხმარებლებს სერიოზული სამართლებრივი რისკების წინაშე აყენებს. 2024 წლის თებერვალში კიბერსივრცის უმაღლესმა საბჭომ ოფიციალურად აკრძალა VPN-ის გამოყენება, ხოლო „კიბერსივრცის დაცვის კანონპროექტი" ითვალისწინებს ამ ინსტრუმენტების გამოყენებისთვის ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. მიუხედავად ამისა, 2024 წლის მონაცემებით ირანელი მომხმარებლების დაახლოებით 83 პროცენტი კვლავ VPN-ს იყენებს, რაც ნათლად წარმოაჩენს სახელმწიფო შეზღუდვებსა და მოქალაქეთა ციფრულ პრაქტიკას შორის არსებულ წინააღმდეგობას.

ანონიმურობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას აქტივისტებისთვის, რადგან სახელმწიფო იყენებს ხელოვნური ინტელექტით მართულ მეთვალყურეობის სისტემებს და პერიოდულ ინტერნეტ-გათიშვებს, განსაკუთრებით საპროტესტო პერიოდებში. ამ პირობებში სოციალური მედიის პლატფორმები ირანში მხოლოდ ნაწილობრივ თავისუფალ არენას წარმოადგენს, სადაც წვდომა და აქტივიზმი მოითხოვს ტექნიკური და სტრატეგიული ცოდნის მაღალ დონეს კომპლექსური ონლაინ-უსაფრთხოების პროტოკოლების ცოდნას, კონტენტის გაწონასწორებულ გავრცელებასა და მუდმივ სიფრთხილეს. ეს გამოწვევები, მართალია, მნიშვნელოვნად ართულებს მასობრივ მობილიზაციას და ზრდის ინდივიდუალური აქტივისტების მოწყვლადობას, თუმცა ვერ აფერხებს ქალებს საკუთარი გამოცდილებისა და პროტესტის ონლაინ გაზიარებაში. ჰეშთეგ-კამპანიები (#MyStealthyFreedom, #WhiteWednesdays, #MahsaAmini, #WomenLifeFreedom) კვლავ ფართოდ ვრცელდება ციფრულ სივრცეში, რაც საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ყურადღებას იქცევს და ირანელი ქალების ბრძოლას გლობალური დისკურსის ნაწილად აქცევს.

პოლიტიკური სივრცის შეზღუდვის პირობებში აქტივიზმის ტრადიციული ფორმები, როგორიცაა პარტიული მონაწილეობა, ქუჩის პროტესტი და ინსტიტუციური ლობირება, განსაკუთრებით მაღალი რისკის მატარებელია. სწორედ ამიტომ ავტორიტარულ რეჟიმებში წინააღმდეგობა თანდათანობით არატრადიციულ და არაინსტიტუციურ ფორმებს იძენს. ქალთა აქტივიზმი გადადის კულტურულ, სიმბოლურ და კომუნიკაციურ სფეროში, სადაც პირადი გამოცდილება და ყოველდღიური პრაქტიკა პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. ამგვარად, ავტორიტარულ რეჟიმებში გენდერული აქტივიზმი ხასიათდება ადაპტაციურობითა და

ფორმების მრავალფეროვნებით, რაც უშუალოდ განპირობებულია რეპრესიული გარემოთი და პოლიტიკური მონაწილეობის სისტემური შეზღუდვით.

აკადემიური ლიტერატურა აღნიშნულ ფენომენს განიხილავს არა მხოლოდ როგორც ტექნოლოგიურად განპირობებულ პროცესს, არამედ როგორც ძალაუფლების, წინააღმდეგობისა და გენდერული იდენტობის ურთიერთქმედების რთულ ველს ავტორიტარულ პოლიტიკურ კონტექსტში. არსებული კვლევები თანხმდება, რომ სოციალური მედია ირანში ფუნქციონირებს როგორც პარალელური საჯარო სივრცე, რომელიც ნაწილობრივ ანაცვლებს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ინსტიტუციურ არხებს.

ლიტერატურაში ერთ-ერთი ცენტრალური თემა უკავშირდება სოციალური მედიის როლს „Women, Life, Freedom" მოძრაობის წარმოშობასა და განვითარებაში. მკვლევრები ხაზს უსვამენ, რომ ირანში ტრადიციული მედიის სრული ცენზურის პირობებში პლატფორმები, როგორიცაა Instagram, X, WhatsApp და Telegram, ინფორმაციის გავრცელებისა და პოლიტიკური მობილიზაციის ძირითად არხებად იქცა (Aldroubi, 2022). ეს პლატფორმები აქტივისტებს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ შიდა აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის, არამედ საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფისთვისაც, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პროტესტის სიმბოლურ და პოლიტიკურ წონას.

განსაკუთრებული ყურადღება აკადემიურ ნაშრომებში ეთმობა Instagram-ს, როგორც ირანში შედარებით სტაბილურ და ფართოდ გამოყენებად ციფრულ სივრცეს. კვლევები მიუთითებს, რომ პლატფორმის პოპულარობა განპირობებულია ეკონომიკური ფაქტორებითაც, კერძოდ მცირე ბიზნესების, ინფლუენსერებისა და ციფრული შრომის განვითარებით, რამაც ხელისუფლება აიძულა, მკაცრი მეთვალყურეობის პირობებშიც შეენარჩუნებინა მისი ფუნქციონირება (Khalaji, 2022). ეს პარადოქსული მდგომარეობა ლიტერატურაში განიხილება როგორც რეჟიმის სტრატეგიული ამბივალენტურობა: ერთი მხრივ, სოციალური მედია ეკონომიკურ რესურსს წარმოადგენს, მეორე მხრივ კი პოტენციურ საფრთხეს რეჟიმის ლეგიტიმაციისთვის.

სოციალური მედიის კვლევები ასევე მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივი აზრის ცვლილების ანალიზს. GAMAAN-ის გამოკითხვებზე დაყრდნობით, მკვლევრები აღწერენ ირანში მიმდინარე სეკულარიზაციის ტენდენციებსა და ჰიჯაბის სავალდებულო ტარების მიმართ მზარდ წინააღმდეგობას (GAMAAN, 2023). თუმცა აღნიშნული კვლევები ძირითადად მაკროსოციოლოგიურ ჭრილში რჩება და იშვიათად აანალიზებს ქალების სუბიექტურ გამოცდილებასა და ციფრული აქტივიზმის გენდერულ სპეციფიკას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ნაშრომები, რომლებიც აფექტისა და ემოციური პოლიტიკის როლს იკვლევენ ციფრულ აქტივიზმში. აღნიშნული კვლევები აჩვენებს, რომ

ბრაზი, ტრავმა, სოლიდარობა და კოლექტიური გლოვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონტენტის ვირუსულობასა და საზოგადოებრივი მობილიზაციის პროცესში. მიუხედავად ამისა, ემოციური დინამიკის ანალიზი ხშირად განცალკევებულია გენდერული თანასწორობის საკითხისგან და ნაკლებად უკავშირდება ქალების პოლიტიკური აგენტობის ფორმირებას.

არსებული აკადემიური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი ცხადყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან კვლევით ხარვეზს. პირველი, მიუხედავად იმისა, რომ „Women, Life, Freedom" მოძრაობა არსებითად ქალთა გამოცდილებასა და სხეულზე კონტროლის საკითხებს ეფუძნება, კვლევების დიდი ნაწილი მაინც ნეიტრალური ან ზოგადპოლიტიკური ჩარჩოებით შემოიფარგლება და ნაკლებად იყენებს გენდერულ ან ფემინისტურ ანალიზს. მეორე, ციფრული აქტივიზმის ეფექტიანობა ხშირად იზომება მოკლევადიანი მობილიზაციის ან საერთაშორისო ყურადღების მაჩვენებლებით, მაშინ როდესაც ნაკლებად არის შესწავლილი მისი გრძელვადიანი სოციალური, კულტურული და ნორმატიული გავლენა გენდერული თანასწორობის პროცესზე. მესამე, ციფრული წინააღმდეგობის ემოციური და სიმბოლური სტრატეგიები, კერძოდ ვიზუალური მეტაფორები, სხეულის პოლიტიკა, ირონია და კოლექტიური ტრავმის ნარატივები, იშვიათად განიხილება როგორც სტრუქტურული რესურსი, რომელიც ქალებს ავტორიტარულ გარემოში აგენტობას აძლევს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ირანელი ქალების ციფრული აქტივიზმის სამი ურთიერთდაკავშირებული ფორმა: ჰეშთეგ-კამპანიები, ვიზუალური პროტესტი და ონლაინსოლიდარობის ქსელები. აღნიშნული ფორმები არ ფუნქციონირებს იზოლირებულად, არამედ ქმნიან ურთიერთგაძლიერებულ სტრატეგიულ ეკოსისტემას, რომელიც ავტორიტარულ პირობებში პოლიტიკური მონაწილეობის ალტერნატიულ მექანიზმად ყალიბდება.

ჰეშთეგ-კამპანიები (#MyStealthyFreedom, #WhiteWednesdays, #MahsaAmini, #WomenLifeFreedom) წარმოადგენს ციფრული მობილიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ხილულ და ეფექტიან ინსტრუმენტს. მათი საშუალებით ინდივიდუალური გამოცდილებები კოლექტიურ ნარატივად გარდაიქმნება, რაც ამცირებს იზოლაციის განცდას და აძლიერებს წინააღმდეგობის ლეგიტიმაციას. ჰეშთეგები ასევე ასრულებენ არქივირების ფუნქციას, რაც პროტესტის დინამიკის დროით ჭრილში თვალყურის დევნებას შესაძლებელს ხდის.

ვიზუალური პროტესტი, რომელიც მოიცავს ფოტოებს, ვიდეოებსა და სხეულის პოლიტიკის სიმბოლურ გამოხატულებებს, ციფრულ აქტივიზმში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ჰიჯაბის მოხსნა, თმის შეჭრა ან საჯარო სივრცეში პროტესტის ვიზუალური დოკუმენტირება წარმოადგენს არა მხოლოდ პირად აქტს, არამედ ძალაუფლების მიმართ სიმბოლურ გამოწვევას.

ონლაინსოლიდარობის ქსელები ქმნიან ტრანსნაციონალური მხარდაჭერის სივრცეს, სადაც ირანელი ქალების ხმა ეროვნული საზღვრების ჩარჩოს სცდება. დიასპორის, ფემინისტური

მოძრაობებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების ჩართულობა აძლიერებს პროტესტის პოლიტიკურ წონას და ზრდის რეჟიმზე საერთაშორისო ზეწოლის პოტენციალს.

ციფრულ აქტივიზმს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს როგორც შიდასაზოგადოებრივ ცნობიერებაზე, ისე საერთაშორისო დისკურსზე. შიდა კონტექსტში სოციალური მედია ხელს უწყობს ტაბუირებული თემების საჯარო განხილვას, გენდერული ნორმების კრიტიკულ გადახედვას და კოლექტიური იდენტობის ფორმირებას. ქალთა პირადი ისტორიების გავრცელება არღვევს სახელმწიფო ნარატივის მონოპოლიას და ქმნის ალტერნატიულ ინტერპრეტაციულ ჩარჩოებს. საერთაშორისო დონეზე ციფრული აქტივიზმი ირანელი ქალების საკითხს გლობალური მედიისა და პოლიტიკის დღის წესრიგში აქცევს, ზრდის პრობლემის ხილვადობას და სოლიდარობის ტრანსნაციონალურ დისკურსს ქმნის. ამ პროცესში სოციალური მედია გამაძლიერებელი მექანიზმის როლს ასრულებს, რომელიც ადგილობრივ პროტესტს გლობალურ მნიშვნელობას ანიჭებს.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევას და ეყრდნობა პირველადი და მეორადი მონაცემების ერთობლივ ანალიზს. კვლევის მიზანია ირანელი ქალების ციფრული აქტივიზმის ფორმებისა და სოციალური მედიის გამოყენების სტრატეგიების შესწავლა გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ავტორიტარულ სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ იყენებენ ქალები ონლაინ სივრცეს პროტესტის გამოსახატავად, საკუთარი გამოცდილების გასაზიარებლად და კოლექტიური ნარატივის შესაქმნელად, რაც საბოლოოდ სოციალური ცვლილებების ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად გვევლინება.

კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს ავტორის მიერ დამოუკიდებლად შეგროვებული მასალა, რომელიც მოიცავს 2022–2024 წლებში Instagram-სა და X პლატფორმებზე გამოქვეყნებულ 60 საჯარო პოსტსა და ვიდეომასალას. აღნიშნული კონტენტი დაკავშირებულია Mahsa Amini-სა და „Women, Life, Freedom"-ის კამპანიებთან და ასახავს იმ დისკურსულ და ვიზუალურ პრაქტიკებს, რომლებიც ციფრულ აქტივიზმს ახასიათებს. პირველადი მონაცემების გარდა, ნაშრომში გამოყენებულია შესაბამისი აკადემიური ლიტერატურა, რომელიც კვლევას ანიჭებს თეორიულ საფუძველს და უზრუნველყოფს მიღებული შედეგების ფართო კონტექსტში გააზრებას. კვლევის ფარგლებში თითოეული პოსტი განიხილება ციფრული აქტივიზმის ინდივიდუალურ აქტად, რაც საფუძველს უქმნის მათ შემდგომ თემატურ დაჯგუფებასა და სიღრმისეულ ანალიზს.

მონაცემთა შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით, რომელიც გულისხმობს მასალის შერჩევას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იყო სამი ძირითადი კრიტერიუმი: (1) კონტენტის კავშირი ირანელი ქალების უფლებებთან და გენდერულ წინააღმდეგობასთან; (2) მასალის გამოქვეყნება პროტესტის აქტიური პერიოდების განმავლობაში; (3) პოსტებისა და კამპანიების გავრცელების მასშტაბი და სიმბოლური მნიშვნელობა. აღნიშნული კრიტერიუმები უზრუნველყოფს შერჩეული მასალის რელევანტურობას კვლევის მიზნებისთვის და ციფრული აქტივიზმის მნიშვნელოვანი ასპექტების ასახვას.

კვლევაში გამოყენებულია ორი ძირითადი მეთოდი: სოციალური მედიის კონტენტ-ანალიზი და შემთხვევის ანალიზი. კონტენტ-ანალიზის ფარგლებში შესწავლილია ტექსტური, ვიზუალური და აუდიოვიზუალური მასალა, რაც შესაძლებელს ხდის იმ ძირითადი თემებისა და ნარატივების გამოვლენას, რომლებიც აქტივისტურ კონტენტში მეორდება. ანალიზი განხორციელდა თემატური კოდირების გამოყენებით, რის შედეგადაც გამოიკვეთა სამი ძირითადი კატეგორია: (1) ჰეშთეგ-კამპანიები, როგორც ციფრული მობილიზაციის ინსტრუმენტი; (2) ვიზუალური პროტესტი, მათ შორის ფოტოები, ვიდეოები და სხეულის პოლიტიკის სიმბოლური გამოხატულებები; (3) ონლაინ სოლიდარობის ქსელები, რომლებიც ტრანსნაციონალური მხარდაჭერის სივრცეს ქმნიან. ეს კატეგორიები წარმოადგენს კოდირების პროცესში გამოვლენილ თემატურ მიმართულებებს და საფუძვლად უდევს ანალიზის სტრუქტურას. ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა სისტემურად გაიაზრეს, თუ როგორ ყალიბდება ციფრული აქტივიზმის შინაარსი და როგორ ხდება მისი გავრცელება ონლაინ სივრცეში.

შემთხვევის ანალიზი გამოიყენება კონკრეტული კამპანიების სიღრმისეული შესწავლისთვის და ავსებს კონტენტ-ანალიზით მიღებულ მონაცემებს. მისი საშუალებით შესაძლებელია დეტალურად გაირკვეს კამპანიების წარმოშობის მიზეზები, განვითარების დინამიკა, კომუნიკაციის ფორმები და გავლენა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამ ორი მეთოდის კომბინაცია უზრუნველყოფს კვლევის მრავალმხრივობას და საშუალებას იძლევა, ციფრული აქტივიზმი გაანალიზდეს როგორც შინაარსობრივი, ისე ფართო სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის ფარგლებში.

კვლევა ასევე ითვალისწინებს ეთიკურ საკითხებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორიტარულ გარემოში მიმდინარე აქტივიზმის შესწავლისას. გამოყენებულია მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომი მასალა და არ ხდება ინდივიდუალური აქტივისტების პერსონალური მონაცემების გამოყენება. ყურადღება გამახვილებულია არა კონკრეტულ პირებზე, არამედ მათ მიერ შექმნილ და გავრცელებულ ნარატივებსა და სიმბოლურ

გამოხატულებაზე, რაც ამცირებს შესაძლო რისკებს და უზრუნველყოფს კვლევის ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობას.

კვლევის შედეგები

ჩატარებული თვისებრივი ანალიზის საფუძველზე, რომელიც ეფუძნება 2022–2024 წლებში Instagram-სა და X-ის პლატფორმებზე გამოქვეყნებული 60 სოციალური მედიის ერთეულის შესწავლას, კვლევამ აჩვენა, რომ ირანელი ქალების ციფრული აქტივიზმი წარმოადგენს წინააღმდეგობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას ავტორიტარულ გარემოში და, ამავდროულად, ქმნის ალტერნატიულ კომუნიკაციურ სივრცეს.

თემატური კოდირების პროცესში გამოიკვეთა სამი ძირითადი კატეგორია: ჰეშთეგ-კამპანიები, ვიზუალური პროტესტი და ონლაინ სოლიდარობის ქსელები. გაანალიზებული მასალა ცხადყოფს, რომ სოციალური მედიის პლატფორმები ირანელი ქალებისთვის ფუნქციონირებს როგორც სივრცე, სადაც შესაძლებელია პირადი გამოცდილების საჯაროდ გაზიარება და მათი საერთო მნიშვნელობებად გარდაქმნა. ამ პროცესში საკვანძო როლს ასრულებს პირადი ისტორიების გაზიარება, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალური გამოცდილებების ერთიან ნარატივად ჩამოყალიბებას და ამცირებს იზოლაციის განცდას.

ვიზუალური პროტესტის კატეგორიის ფარგლებში გაანალიზებული პოსტების მნიშვნელოვანი ნაწილი ადასტურებს, რომ ვიზუალური მასალა პროტესტის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია. ჰიჯაბის მოხსნა, თმის შეჭრა და სხვა სიმბოლური მოქმედებები მნიშვნელოვნად ზრდის კონტენტის გავრცელების პოტენციალსა და საერთაშორისო ყურადღებას. ვიზუალური ფორმის ეფექტიანობა განპირობებულია მისი ადვილად აღქმადობით სხვადასხვა კულტურულ და ენობრივ კონტექსტში, რაც აძლიერებს გლობალური მხარდაჭერის მობილიზებას.

მნიშვნელოვანი დასკვნა უკავშირდება იმას, თუ როგორ იცვლება ირანელი ქალების როლი ციფრული აქტივიზმის პროცესში. კვლევის შედეგების მიხედვით, ისინი აღარ აღიქმებიან მხოლოდ ჩაგრულ ჯგუფად, არამედ ხდებიან აქტიური სუბიექტები, რომლებიც თავად განსაზღვრავენ საკუთარ რეპრეზენტაციას და მონაწილეობენ საზოგადოებრივ დისკურსში.

ონლაინ სოლიდარობის ქსელების ანალიზმა გამოავლინა, რომ ემოციური ელემენტები გადამწყვეტ როლს ასრულებენ კონტენტის ვირუსულობაში. განსაკუთრებით ეფექტურია ისეთი მასალა, რომელიც აერთიანებს სისტემური უსამართლობის მიმართ ბრაზსა და პოზიტიური ცვლილების იმედს. ამგვარი კომბინაცია ზრდის აუდიტორიის ჩართულობას და ხელს უწყობს მხარდაჭერის ტრანსნაციონალურ გავრცელებას.

საბოლოოდ, კვლევა ადასტურებს, რომ ირანელი ქალების ციფრული აქტივიზმი არ არის მხოლოდ სპონტანური რეაქცია, არამედ წარმოადგენს სტრუქტურირებულ სოციალურ პრაქტიკას. იგი ქმნის ალტერნატიულ საინფორმაციო სივრცეს, ასუსტებს ოფიციალური ნარატივის დომინანტურ პოზიციას და ხელს უწყობს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სოლიდარობის მექანიზმების ფორმირებას.

დასკვნა

ირანელი ქალების ციფრული აქტივიზმი ავტორიტარულ პოლიტიკურ კონტექსტში წარმოაჩენს მნიშვნელოვანი სტრატეგიული რესურსის როლს გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლის პროცესში. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ციფრული სივრცე, კერძოდ Instagram და X, წარმოადგენს არა მხოლოდ ალტერნატიულ არენას თვითგამოხატვისა და სოციალური წინააღმდეგობისათვის, არამედ საშუალებას აძლევს ქალებს შექმნან კოლექტიური ნარატივები, რომლებიც ამყარებს საერთო იდენტობას, ზრდის აქტივიზმის ლეგიტიმაციას და ხელს უწყობს პროტესტის მდგრადობას. თემატური კოდირების შედეგად გამოვლენილი სამი კატეგორია ამ პროცესის სხვადასხვა განზომილებას ასახავს. ჰეშთეგ-კამპანიები (#MyStealthyFreedom, #WhiteWednesdays, #MahsaAmini, #WomenLifeFreedom) გარდაქმნის ინდივიდუალურ გამოცდილებებს კოლექტიურ ნარატივად, რაც ამცირებს იზოლაციის განცდას და აძლიერებს საზოგადოების მხარდაჭერის საფუძველს. ვიზუალური პროტესტი, როგორებიცაა ჰიჯაბის მოხსნა, საჯარო სივრცეში სიმბოლური ქმედებები და ვიდეოების გავრცელება, წარმოადგენს არა მხოლოდ პირად აქტს, არამედ სიმბოლურ გამოწვევას ავტორიტარული რეჟიმის მიერ დაწესებულ ნორმებს. ონლაინ სოლიდარობის ქსელები ქმნიან ტრანსნაციონალური მხარდაჭერის გარემოს, რაც ზრდის პროტესტის საერთაშორისო ზეწოლის შესაძლებლობას და აძლიერებს მოძრაობის პოლიტიკურ წონას.

შიდა საზოგადოებრივ დონეზე ციფრული აქტივიზმი ხელს უწყობს ტაბუირებული თემების საჯარო განხილვას, გენდერული ნორმების კრიტიკულ გადახედვას და კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებას, ამავდროულად არღვევს სახელმწიფო ნარატივის მონოპოლიას და ქმნის ალტერნატიულ ინტერპრეტაციულ ჩარჩოებს. საერთაშორისო დონეზე ციფრული აქტივიზმი უზრუნველყოფს ირანელი ქალების საკითხის ხილვადობას გლობალურ მედიასა და პოლიტიკურ დღის წესრიგში, აძლიერებს ტრანსნაციონალურ სოლიდარობას და ქმნის პირობებს საერთაშორისო უფლებადამცველ და პოლიტიკურ აქტორებზე ზემოქმედებისთვის.

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს, რომ ციფრული აქტივიზმი ირანელი ქალებისათვის წარმოადგენს არა მხოლოდ წინააღმდეგობის ფორმას, არამედ პოლიტიკური აგენტობის გამოხატულებას, რომელიც გავლენის მოპოვების საშუალებას იძლევა, სახელმწიფო

რეპრესიების, ცენზურისა და საჯარო სივრცის მკაცრი შეზღუდვების მიუხედავად. იგი აძლიერებს პირად მოტივაციას, ხელს უწყობს კოლექტიური ერთიანობის ჩამოყალიბებას და ქმნის სტრუქტურულად მდგრად მექანიზმებს პროტესტის გასავრცელებლად. შედეგად, ირანელი ქალების ციფრული აქტივიზმი წარმოაჩენს ონლაინ პროტესტის პოტენციალს როგორც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ისე ფართომასშტაბიანი სოციალური ცვლილებების წარმართვის გზაზე. ეს ფენომენი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, ციფრული პლატფორმები იქცნენ ემანსიპატორულ არენად, სადაც ინდივიდუალური აქტივიზმი გარდაიქმნება კოლექტიურ ძალად, რომელსაც რეალური სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების მიღწევა შეუძლია ავტორიტარულ გარემოში.

ბიბლიოგრაფია

Aldroubi, M. (2022, სექტემბერი 28). What's happening in Iran and how has social media helped movement against morality police? The National. https://www.thenationalnews.com/mena/2022/09/28/whats-happening-in-iran-and-how-has-social-media-affected-hijab-protests/

Castells, M. (2000). Toward a sociology of the network society. *Contemporary Sociology, 29*(5), 693–699. https://www.jstor.org/stable/2655234

Center for International Media Assistance. (2010). *The role of new media in the 2009 Iranian elections.* https://www.cima.ned.org/resource/the-role-of-new-media-in-the-2009-iranian-elections

Danesh, A., & Athari, S. H. (2024). Cyber activism in Iran: A case study. *Social Media + Society*. https://doi.org/10.1177/20563051241279258

GAMAAN. (2023). *Survey on secularization trends and compulsory hijab in Iran*. GAMAAN Research Center. https://www.gamaan.org

Harsij, H., & Rabeie Nia, B. (2023). The formation pattern of protest movements with an emphasis on the role of virtual social networks. *Journal of Applied Sociology, 34*(3), 1–22.

Islamic Republic of Iran. (1995). *Islamic Penal Code* (M. M. Sadeghi, Trans.). Islamic Republic of Iran Judiciary. https://www.unodc.org/cld/uploads/res/islamic-penal-code_html/Islamic_Penal_Code.pdf (Original work enacted 1991; revised 1995)

Khalaji, M. (2022, October 6). Social Media in Iran's Protests: A New Public Sphere? The Washington Institute. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/social-media-irans-protests-new-public-sphere

Van den Bosch, J. J. J., & Lindstaedt, N. (Eds.). (n.d.). *Encyclopedia tyrannica: A research guide to authoritarianism*. https://d1wqtxts1xzle7.cloudfront.net/123563808/Encyclopedia_Tyrannica-libre.pdf